ვით სიჭაბუკეს დაფერფლებულსა,
ბოლო მოელო ბედის წყევასა
და გულის ძგერა—ჩანგისა ჟღერა
გაენზაურა ზესთა-ზენასა.

როს წრფელი ლიმი „ახალი ტალღა“
მომეზნაურა ობოლს, წამებულს
და ყურთ მასმინა ფაქიზი სიტყვა:
„ჩემს ნაზ ფრთების ქვეშ დაგმწვიდებ სულს“...

მომეზვა გულზე სევდა-ნალველი
გულის ბორკილი, გრძობისა მგვრელი
და ნეტარება ტბილ სიამითა
ვერ დამიხატავს სრული კალმითა

ვან. სვირიტიძე.

ნაცი კი გამალებით მიცურავდა...

ბნელოდა.. შავი ღრუბლებით დაბურული ცა,
პირქუშ მრისხანებით დასტკეროდა მთელს სამყა-
როს. ისედაც უფერულს, მოწყენილ დღეს, ქარის
გულსაკლავი ქოროლა უარესად ასველიანებდა,
აჯოჯოხეთებდა. მისი ზუსუნის ხვა, მოთქმასა და
ტირილისავით გაისმოდა მთის ხეფ-ხუცებში. . ვე-
ლად... მთა-ბარად... ყოველი არსება ამ საშინელე-
ბით, ვით განკითხვის დღეს, ისე ჰკრთოდა, ცახცა-
ხებდა... ამ დროს შორს, დასავლეთით შავი ზღვაც
ღელავდა, ბობოქრობდა და აზვირთებულის ტალ-
ღებით გამძვინვარებულის ძლიერებით ორთქლ-მავ-
ლებისკენ დასაღუბად მიექანებოდა. გემთა მიმოსვლა
სწყდებოდა, ხოლო მათში გამონაკლისს შეადგენდა
ერთი ნავი, რომელიც ამ დროს ზღვის ნაპირიდან
მოსჩანდა ის გამალებით მიცურავდა, ზღვის ტალ-
ღებს შეუბოვრათ მიაბობდა, მისრიალებდა... ის
თავს სწირავდა სასიკვდილოთ განწირულისთვის,
რომელმაც ეს იყო ზღვის ტალღებს მისცა თავი.
საბრალო... ამ ნახევარი საათის წინათ, იგი გემში
იჯდა და ნაღვლიანათ შორს გასტკეროდა. ის ერთ-
ერთი მსახურთაგანი იყო, ჯერ კიდევ ახალგაზრდა,
ჯანღონით საესე ყმაწვილი კაცი. მის სახეს გარკვე-
ვით ემჩნეოდა ბეჭედი ტმჯული სიკოცხლისა; მას
ფერფლის ფერი დასდებოდა, ცხვირის ნესტოები
დაჰბეროდა, მძიმეთ ქმინავდა, ბაგენი სულთმობრ-
ძაფივით უთრთოდა და შავის ფიქრებით მოკული
ის თითქო თავის თავს ეკითხებოდა:

— ნეტავ აქვს რაიმე აზრი დღევანდელს ჩემს
ყოფას? რა სიკოცხლე ჩემი სიკოცხლე ტანჯვით
აღსავსე, შხამ ნალვლით ჩადღებულები... სიკოცხ-
ლე კი არა, სიკვდილია... ასჯერ სიკვდილი... ვფი-
ქრობდი... დიახ ვფიქრობდი, რომ დღეს თუ არა
ხვალე მაინც შეიცვლებოდა ჩემი არსებობის პირო-
ბები, მდგომარეობა და მეც კაცი, კაცურად ვიც-
ხოვრებ მეთქი. მაგრამ... მიმტყუნა... მწარეთ მიმ-
ტყუნა ბედმა უპირობ. ჩემთვის აღარ არსებობს
არც ერთი ის, რომლებსაც ყოველი ადამიანები
შესტრფიან... ნეტავ რატომ ვეკოცლობდი და ან
რა მქონდა მიზნად, თუ ასე დაუსრულებლივ ტანჯ-
ვის ცეცხლში გავიხვეოდი, ამ გადაწყვეტილებამდე
მოვაწყვედი?!

... და აქ შესწყვიტა უბასუხო თვისი სიტყვე-
ბი... მან უკანასკნელად მიმოავლო ნაცნობ არეს
ნაღვლიანი თვალები და... გადაეშვა აღქაფებულ
ზღვის ტალღებში... იქ ჰპოვა ბინა... მორჩა... გა-
თავდა... ნავი კი, ნავი მიცურავდა, მისრიალებდა, რომ
ულმობელი ზღვის მსხვერპლისთვის ეშველა რამე.

სევასტი მთ—ჩელი.



ზოგიერთებს.

... და განმთავისუფლებელი მოძრაობის აღმა ბევრს შეუტრუსა კანი, ბევრს ფერი უტვალა, მეტი არაფერი; შინაგანი ნაწილი ისევ იგი დარჩა რაც იყო ძველათ.

აბა მითხარით, რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ხალხის გუშინდელი ჭირისუფალი და მებაირალტრე, მუშათა კლასის ერთგული შვილი და მისი „მესაიდუმლე“ დღეს ურცხვათ გაიძახის—რუსეთის ისტორიის ფურცლებზე მარტო სტენკა რაზინების ბუნტია ჩაწერილი, რუსეთმა რევოლუციია არ იცისო? მითხარით, რით ავხსნათ ის გარემოება, რომ გუშინდელი „ძმა-ამხანაგი“ დღეს ბნელი ძალების ყურმოჭრილ მონათ გამხდარა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ტაყი-მასხარაობს, ურცხვათ და უტიფრათ დასკინის ყოველ თავის ნაწერში ტანჯულ კლასსა და მის იდეოლოგებს?

მხოლოდ გონებით უზადრუკი თუ იტყვის—საზოკადო მოღვაწის მრწამსი ერთ წერტილზე უნდა გაიყინოსო. ღმერთმა დამიფაროს ასეთი უფიცობისაგან. მაგრამ არც ისაა მოსაწონი, როცა ადამიანი თავის აზრსა და პრინციპებს საცვლებთან ერთათ იცვლის, ან ორი დღის წინათ აშენებულს უღომობელი ფეხის წაკვრით ერთიანათ ძირს ამოხბს. მოულოდნელი ჩვენთვის აქ არაფერია. ასეთი ყოფილა რეაქციონური დრო, მიძინების ხანა ყველგან — და მით უფრო საგრძნობელი უნდა იყოს ეს მოვლენა ჩვენს ბედ-შავ ქვეყანაში. დამარცხებულსა, მაგრამ **პოლიტიკურად უწრთენელ** მეომარს, ხშირათ თავგანთნებელი უწყევლობა, თავგამოდებულსა, მაგრამ ბრძოლის ველზე დაჭრილს სულმოკლე ჭაბუკს ხშირათ თავისი წმინდათა წმინდისათვის ღვარძლეთა და გულის-წყრომით შეუფურთხებია.

ღიას, მაგრამ თქვენი კი, თქვენი მაინც კიდევ დიდი იმედი უღვივის მიწასთან გასწორებულ ხალხს; თქვენგან მოვლის იგი სულიერ სითფოს; თქვენგან მოვლის იგი საღ აზროვნებას და კეთილ გემოვნებითი ნაყოფს. მაგრამ ღრმათ რომ ჩავაკვირდეთ თქვენს მოქმედების შინაარსს, დავინახავთ სულ წინააღმდეგს. ცეცხლზე ნავთს ასხამთ; ლეთიური სითფოს მაგიერ გულსა ზრავთ, სულს აყინებთ სულით დაცემულთა დანუგეშების და გამხნევების მაგიერ, პირველათ თქვენგან გაისმის საზარი ტირილი კვნესა და თქვენგან იღვრება იერემიასებური ცრემლები რათა ღვრით ცხარე ცრემლებს? იქნებ სამშობლოს უბედურება გაწუხებთ?

მაგრამ, მაშინ ხომ მარტოდენი ცრემლები. ვერ განკურნავენ ხალხის ჭირლობებს. ან იქნებ თქვენც სხვების ფეხის ხმას აყოლიხართ „შინაურ მტრებზე“ გინდათ გაილაშქროთ?—ჰოი, მაშინ როგორ სასტიკათა სცდებით! გზა-კვალი ავბნევით, ძლიერ შორს წასულხართ—მტერი კი ცხვირის წინ ვერ შეგიმჩნევიათ! ისმინეთ! **ხალხსა და ქვეყნის მოლაღატენი თქვენი ბანაკიდან ირანშემბიან;** აყოლიხართ ძველს, პატრიარქალურ გულის-თქმას — და ეროვნული გათიშვის პოლიტიკას აწარმოებთ, ახალგაზრდა, გულუბრყვილო მკითხველებს სებარატისტულ იდეებს უქადაგებთ!..

ამას თქვენი უკანასკნელი ნაშრომი ნათლათ გვიმტკიცებს და გვაძლევს უფლებას მოვმართოთ ასეთი კილოთი. ცოცხალი სიტყვა, იმედიანი კილო სწორეთ ახლაა საჭირო, როცა ბნელეთ-უკუნეთში გახვეული საზოგადოების ერთი ნაწილი გოლიათურ ძილს აპირებს; თქვენ კი რას შერებთ? სხვებთან ერთათ მას გულის მოსაფხან ნანას უმღერით, ძილის პირს უგალობთ... რომანტიზმის ქსელში გაბმულნი, საქართველოს ძველ ნანგრევებს ვერ გამოვრებხართ, რადგან, თქვენი აზრით,

„წარსულთა დროთა, დიდების დროთა ყოვლნი კეთილნი თანა წარიღეს“.

არა სასურველია და თითქმის მეტიც თქვენი უკანასკნელი ღვაწლი, გაუღწეათილი ვიწრო, მლაშე პატრიოტაზმით, რომელსაც ენების მეტი არაფერი მოაქვს ქვეყნისათვის.

როდის მოხვალთ გონს? როდის დაადგებით ქვეშაბრტისა და ადამიანურ გზას?...
მეზღვენი უსხვა უსაძრავისა და უსასაძრავი კანდე.

ქუთაისი.
დ. მ. მ. (სადაც გიქარ)

* * *
მწარე ღუმილში მიჰქრან წამნი ცხროგრებისნი;
მიჰკვადრებუღან: სდუღს სიცოცხლის არსად ნაშანი;
წუგდადი მეფობს: ადარ მისწანს სხეფი მისისანი;
კლდე-დრენი მხედება... შორს, შორს მოსწანს ჩემა მისხანი!
მზეც ცხროველო, დამდაგე, მტუორტე მკუთარი ასირა;
გაიპე მკუერდი: შრატე ნაკად სკუადებისანი;
მიმოაფიხე მთელს სამყაროს სხივნი ცისანი;
რადგან წუგდადში გუფლობენ ნადირნი შუგ-ბნელ ტყისანი!.

ი. ფენიქსი.

ანგონ ჩეხოვი*)

პირველი ჩვენი წერილი დავათავეთ ეპოქასა და მწერალს შორის ნათესაური კავშირის აღნიშვნით. ესლა გადავიდეთ თვით ჩეხოვის დროინდელ ეპოქაზე.

ის ხანა, რომელშიაც ჩეხოვს ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა მოუხდა, იყო ძალზედ დაცემული და ფრიალ უნუგეშო: იმ დროის პოლიტიკურ კატასტროფამ შექმნა სასტიკად მტანჯველი და აუტანელი მდგომარეობა, გაამეფა სულის შემეშთაჯი ატმოსფერო ცხოვრებისა... სხვა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები ნათლად გრძნობდნენ თავიანთ დამარცხებას; მოწინავე რაზმებს თვალწინ ედგათ დამსხვრეული იმედები და იდეალები. აშკარაა, რომ ადამიანი უმიზნოთ და უიმედოთ ვერ იცხოვრებს; აუცილებლად საჭირო იყო ახალი მიზნების დასახვა, ან ძველ მიზან-იდეალთა შექცევა-შესწორება. ეს ასეც მოხდა. იწყო საზოგადოებრივ ჯგუფთა და აზრთა სასტიკი კრიტიკიზაცია, მაგრამ ამ პროცესმა ძლიერ უკუღმართი ხასიათი მიიღო. მიზან-იდეალები ხშირად არა სასურველ ფორმებში ყალიბდებოდნენ ზოგიერთ საზოგადოებრივმა ელემენტებმა ურცხვად იკისრეს მანინჯ სინამდვილესთან შერიგება და ეზიარეს ყოველივე მის უკუღმართობა-უგვანოებას; სხვებმა მიზნად დაისახეს „უმოქმედობის თეორია“, გახდნენ სტატისტიკად ცხოვრებაში; უმრავლესობამ კი სავსებით უღალატა თავის რწმენა-იდეალებს და რენევატებად იქცა. ერთი სიტყვით, მოხდა სრული პოლიტიკური და იდეური რეაქცია, გამეფდა საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმი და ლეტარგიული ძილი; სამარცხვინო დავიწყებას მიეცა ყველა საუკეთესო ტარადიციები 60 წ. წ.

ცხოვრებამ დაჰკარგა ისტორიულ იდეის გაგება და გამოურკვეველობის ბურჟუსში გაიჩაძრა. საზოგადოებრივ ცხოვრების ასეთ სამარცხვინო მოდუნებას თან მოჰყვა მოქალაქობრივი ცხოვრების პირობათა აუტანლობა. სამსჯავროს დამოუკიდებლობა შეიცვალა ადმინისტრატიულ შეხედულება ცირკულიარებზედ. „ბიუროკრატული“ საქმის წარმოებამ სავსებით დაიკავა საზოგადოებრივ თვით მოქმედობის ადგილი, თვითმართველობა თვითნებობათ გამოცხადდა. „უჩინო-ოკოლოდოჩნურმა“ სიმართლემ უმადლესი სანქცია მიიღო და გამარჯვება

ილღესასწაულა საერთო, საზოგადო ქეშმარიტება-სიმართლევად... მე 80 და 90 წ. წ. ეს ის დრო იყო რუსეთის ცხოვრებაში, რომელზედაც დიდებული სატირიკოსი შერდინი სწერდა: „ყველა ის რასაც ვხედავ და განვიციდი ნუ თუ სინამდვილეა და არა „მაჯლაჯუნაო!“

რა მდგომარეობაში იყო მოქალაქობრივი ცხოვრების ამ გვარ სიკვდილის დროს, სწავლა-განათლება და ლიტერატურა? უნივერსიტეტებისაგან იღვენებოდნენ საუკეთესო პროფესორები, რომელნიც ვერ კისრულობდნენ მთავრობის ყურ მოპირილ მონა-მორჩილის როლს. ამ დროს ლიტერატურის ისტორია—ეს სწორედ მოღვაწე მწერლების მარტიროლოგია. ამ დროინდელი ლიტერატურა დეოკლიტიანესებურ დევნა-შეიწროებას განიცდიდა. იმ დროს გაჩნდა სპეციალური ეპიტეტები, როგორცაა „მოკალმე რაზბონიკები“, ბექლვის „მოშენიკები“ და სხვ. ცენზურა მძეინვარებდა, ის უმოწყალოდ სცელოვდა ყველაფერს, რასაც კი დამოუკიდებელ და თავისუფალ აზრის მცირედი ელფერი ედო; თვით უბრალო, არჩილი სალი აზროვნებისა, კრძალვით დი მოწიწებით ინიშნებოდა პრესაში. მოლიბერალო მწერალს თავის ტეხა უხდებოდა იმაზედ, თუ როგორ ფორმაში გაეხვია თავისი აზრები, რომ არაფერს მიმხედარიყვნენ ცენზორები.

აშკარაა, რომ ასეთი უკუნეთის ხანა წარმოშობდა, უკუნეთის და ჯანყიან სინამდვილის მწერალს, წარმოშობდა მხატვარს უმხეგასობის სურათებისას სწორედ ასეთია ჩეხოვი და ის ამაში იმდენად დანაშაულია, რამდენადაც მწკაწე რეჟეკტორა თავის მწვანე გამოხსივებაში...

როგორ გამოიხატა ეს სინამდვილე ჩეხოვის ნაწარმოებებში? რასაკვირველია, ჩვენ არ ძალგვიძს სავსებით ვინელმძღვანელოთ იმ მდიდარ მასალით რომელიც გვიანდერძა ჩეხოვმა რუსეთის სინამდვილის გამოხატვაში. ჩეხოვი უკუარაღლებოთ არა სტოვევდა არც ერთ იმ მოვლენათაგანს, რომელშიაც კი იშლება და მხილდება ადამიანის ბუნება, მისი უფრო დამახასიათებელი და ნიშნობლივი მხარე. რასაკვირველია, ასეთი მოვლენები ურიცხვია და ჩეხოვის მიერ შექმნილი სახეები და სურათებიც ურიცხვია. ამიტომ ჩვენ შევეცდებით ამ საუცხოვო ვალერეიდან გამოვკრიფოთ უფრო ზოგადი სურათები.

პირველ ყოვლისა თვალი გადავაგლოთ სოფლის ცხოვრებას, უმთავრესად კი გლეხების, რომელიც საუცხოვოდ გამოყვანილია მოთხრობაში

*, იხ. პირველი „ტალდა № 1.

„გლეხები“ („Мужики“). აქ ჩეხოვი ვერ შეაშინა მიღებული სურათის სიმახინჯემ და არ მიმართა სინამდვილის იდეალიზაციას, პირიქით მან ისეთი კონცენტრაცია უყო, იმზომ შეაქუნა შტრიხები ამ სურათისა, რომ მისი გლეხებისადმი დამოკიდებულება უარყოფათაჲ კი გეჩვენებათ. „გლეხებში“ ავტორი გადმოგვცემს ერთ უბედურ შემთხვევას, რომელიც გლეხს ეწვია—სახლის დაწვა. მხატვარი სარგებლობს ამ ინტენტიტით და საუცხოვოდ გვაცნობს გლეხების ცხოვრებას: როგორ ცხოვრობენ, როგორ ხედებიან ურთიერთ უბედურებას, რა გულცივობას და ინტერესთა დაქსაქსვას მოუკალათებია მათში... „ვინც დასახმარებლად მიეშურებოდა ყველა მთვრალი იყო... ბარბაცობდენ, ხშირად ეცემოდნენ... ცეცხლი გაქრა.. დაშლის დროს გლეხები ღენერლის მხვარეულს ჟუკოს დასცინოდნენ ქუდის დაწვაზედ... იმათ არ აწუხებდათ მოძმის უბედურება... მზად იყვენ ეს უკანასკნელი ხუმრობაში გაეტარებიათ... მათ კიდევ დაენანათ, რატომ ასე ადრე ჩაქრა ცეცხლი“...

დასასრულ, როდესაც ჩეხოვი გლეხთა ცხოვრების აღწერას „იტოვს“ უკეთებს ასე დაასკნის: „გვერდობდათ“ ეს ადამიანები პირუტყვევზედ უარესად ცხოვრობდენ; ისინი გაუთლელნი, უპატიოსნონი, მუდამ მთვრალეები იყვნენ; სცხოვრობდენ უთანხმოებით, ჩხუბობდენ, ერთი მეორის რიდი არ ჰქონდათ... ვის უტყერია სირაჯხანა, ვინ ატყუებს ხალხს?—გლეხი, ვინ ხარჯავს და სმამი აგებს სასკოლო ან საეკლესიო ფულებს?—გლეხი. ვინ გაჰქურდა მეზობელი, დაწვა, სიცრუე ვინ სთქუა სასამართლოში ერთი ბოთლი არაყისთინ?—გლეხმა. საერობო ან სხვა კრებებზედ ვინ იბრძვის პირველი გლეხის წინამდევ?—გლეხი და სხვ... აშკარაა, რომ სურათი ძლიერ ზნელია, ამას დაუმატო შენაარსი მეორე მოთხრობისა „მკვლელობა“, სადაც გლეხი ჰკლავს თავის ძმის მხოლოდ. იმიტომ, რომ უკანასკნელი მარხვას სტეხს და სახსნილოს სქამს. აქ თქვენს წინ იშლება შემადრწუნებელი სურათი გლეხთა უვიცობისა, მათი უგვანო და უმსავასო ცხოვრებისა. თქვენ უნებლიეთ გებადებათ კითხვა: მე-12 საუკუნეა ეს, თუ მე 19 ეო. მაგრამ შეიძლება ეს ურთიერთის გაუგებრობა და გაუტანლობა, გამაფითრებელი გულტკეობა და უყურადღებობა სხვის უბედურება ტანჯვისადმი მხოლოდ სოფლად და უვიც გლეხებში იყეს. შეიძლება „ასეთი ურთიერთი გაუგებრობის და საშიშარ გულგრილობის“ მიზეზი თვით გლეხები და მათი უვიცობა იყოს?... მაგრამ არა!

ავიღოთ მეორე მოთხრობა „მწუხარება“. მეტლე იონას მოუკვდა თავისი ერთად ერთი შვილი. ის მწუხარებისაგან დაბნედილი ყველაფერს გულდაწყვეტილი შესტკერის, ნუგემის მცემელს ეძიებს.. მაგრამ მთელ ჰეტეროფრეში ერთიჲ არ აღმოჩნდა, რომ იონას მწუხარება მოესმინა. ბოლოს საბრალომ თავისი სევდა-ნაღველი თავისავე ცხენს გაანდო.. „სოტა ხნის დაწყნარების შემდეგ გაჭირვებულს მწუხარება კიდევ უფრო მეტი სიმწვავეით და სიძლიერით მოველინა. მწუხარებით და ტანჯვით სავე თვალეები იონასი კვლავ აცეცებენ ხალხში, კვლავ ეძიებენ ნუგემს... კვლავ „გულგრილობა“ კვლავ.. არავინ.. არც იონას ამჩნევენ და არც მის სევდა-მწუხარებას... მწუხარება უზომო, უსაზღვრო იყო.. ის, რომ იონას გვერდიდან კრემლვად გადმონთხელიყო, მთელ დედამიწას წაღკავდა, ..მაგრამ ის არ ჩანდა... ის მოთავსებულია ისეთ გარსში, რომ სწინადაც ვერ დაინახე“...

აქ, როგორც ამჩნევს მკითხველი, მართო უვიცობაში და გლეხებში არ არის მიზეზი; სოფლისავე სურათი მეორდება პეტერბურგში, განათლების ცენტრში. მართლაც, თუ ცხოვრების პირობები ისეთია, რომ ყოველ გვარი საზოგადოებრივ ინიციატივას და ინსტიტუტებს თავის დასაწყისშივე ჰკლავს, მაშინ აბა როგორ უნდა განვითარდეს ადამიანებში ალტრუიზმი, გულშემტკიცებობა, ერთი მეორესადმი სიყვარული, სხვის ზედში და უბედობაში მონაწილეობის მიღება და სხვა ასეთი გრძნობები? მხოლოდ თუ ესენი ადამიანებში არ არის განვითარებული, მაშინ აბა სად უნდა ვეძიოთ ის? ცხადია რომ სანთლითაც ვერ ვიპოვიოთ, რადგან ყოველი საზოგადოება პაროდუქტია ცხოვრების პირობებისა. ხოლო მაშინდელ რუსეთის სინამდვილეს ისეთი ცხოვრების პირობები ახლდა, რომ ამ გვარი „გულცივობა“ ეგოიზმი და პირადი დაცვის გრძნობის კულტი, ორგანიულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. პირუტყვეულ ეგოიზმს გარდა აბა რა უნდა განვითარდეს ისეთ სინამდვილეში, რომელზედაც შჩედრინი ამბობდა „არ ვიცი რამეჲ წუთში რა წამშლის, მაგრამ სიცოცხლე მიინც მინდა“-ო.

ავიღოთ მოთხრობები „ოჯახის მამა“, „ქმარი“ და სხვ... ამ მოთხრობებში გამოყვანილია აღმაშფოთებელი და გულის შემხარავი სურათი ოჯახურ ტირანიისა, რაიც ნელ-ნელა როგორც ქანგი რკინას, ღრღნის და ძირს უთხრის ოჯახის კერას და მის კეთილდღეობას. საძაგელია ეს ქილინი, რომელიც ნებას არ აძლევს თავის ცოლ-შვილს ლუკმ

პური გემრიელად შესკამონ; ის პირველი კერძის მოტანისთანავე უხირდება და ეჩხუბება მათ; ატირებს და აცრემლებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ნამთვრალევა ამ ღამეს ვერ შესძლო თავისუფლად გამოძინება. უფრო მეტად საზიზღარია აქციონი შალიკოვი „მთვრალი და ბოროტი არსება, რომელიც იყო უნივერსიტეტში, კითხულობდა პისარეის და დობროლიუბოვს, ეხლა კი ამბობდა თავის თავზედ, რომ ის „კოლექსი ასესორია და მეტი არაფერი“.

თუ ახლო გავსინჯავთ ამ მოთხრობათა შინაარსს ჩვენ დავინახავთ, რომ ამ ოჯახურ მტარვლობის წარმომადგენელი უმეტესად „წვრილი მოხელება“ (мелкие ушоны). ისინი არ არიან ბუნებით ბოროტები, პირიქით, ძლიერ გულკეთილი, წრფელი და სათნოანი ადამიანები არიან. მაშ როგორ გახდნენ ასეთ ჯალათებად? ისინი, როგორც წვრილი მოხელენი, უკიდურეს თავის დამდაბლებას, ფეხთ ქვეშ გათელვას და შეურაცყოფას განიცდიან საზოგადოებაში და უმეტესად სამსახურში. და რამდენადაც უფრო მცირედებიან სამსახურში და საზოგადოებაში, იმდენად უფრო მაღლა იწევენ და მტარვლობენ თავის ოჯახში, იმდენად უფრო მეტად სიმკაცრით, დაგუბებული ნაღველით და ჯალათური მრისხანებით თავს ატყდებიან საბრალო ოჯახის წევრებს.

თუ როგორი სულიერი მონობა, ყოველ გვარ პირად უფლებათა უარყოფა და „ძლიერთა ამა ქვეყნის წინაშე თავყანის მცემლობაა გამეფებული, ცხადად გვიხატავს თუნდ ეს უბრალო სცენა მოხელე ჩერვიაკოვის ტრადიკომიკური სიკვდილისა. ერთხელ ჩერვიაკოვს თეატრში დააცხინკვა და შემთხვევით ახლო მდგომ ღენერალს ნაშხევი მოხვდა. საბრალომ ას ხელ ბოდიში მოითხოვა, ას ხელ დაუჩოქა, მაგრამ ეს კიდევ ცოტა ეგონა... ბოლოს ღენერლის ბინაზედ გამოცხადდა და კვლავ პატიებას მოითხოვდა. „ღენერალმა გაშმაგებით დაუყვირა „გაეთრიე აქედანა“ო. რას ბრძანებთ, შეეკითხა შიშით ატაცებული ჩერვიაკოვი. „გაეთრიე აქედან“ მეტ ბრახ მოდებით და ფეხების ბრაფუნით შეპყვირა ღენერალმა. ჩერვიაკოვი დაბნედილი, გაბრუნებული გაბრუნდა ქუჩაში... მაშინაღურათ მივიდა სახლში. გაიხადა „ვიც-მუნდირი... დაწვეა მდივანზედ და გამოესალმა წუთისოფელს“..

ასეთი სცენები და დილოგები მრავალია ჩეხოვის ნაწარმოებებში, სადაც ჩვენ ვხვდავთ ადამიანის მაგივრად—რადღ უზაროვან არსებას, სინდისის მაგივრად—რაც კნესაუთ იმას, სული და გულის ნაც-

ვლად—ვიც-მუნდირს. მოვიგონოთ პრაპორშჩიკი ვივერტოვი, რომელმაც გაიგო საშინელება—ზრახორ-შჩაიკებას გაუქმებ. ის დაბნედილი და აზრებ გაფანტული ჩურჩულებს: „ვერ გამიგია... რა ხდება... თუ ზრახორშია და ვარ ვარ.. მაშ მე ვინდა ვარ? არავის? არაფერი?.. მაშ ეხლა.. მე ყველა შემბლაღავს.. დამამცირობს“ („გაუქმეს“). ამ ვივერტოვებისთვის ფორმა ხომ შინაარსია, ქალღელი ნომრით-აზრი ცხოვრებისა. ასეთი უპირველო არსებანი გამონაკლისის არ შეადგენენ ჩეხოვის მოთხრობებში, ისინი ხშირი ტიპებია. მოვიგონოთ სიტყვიერების მასწავლებელი („მასწავლებელი სიტყვიერებისა“), რომელიც „უკანასკნელ მშვიდობის“ არ ამბობს თავის ამხანაგის საფლავზედ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს შეიძლება დირექტორს არ მოეწონოს, რადგან მას უკანასკნელი არ უყვარდა. ვინ არის ძველი ენების მასწავლებელი ბელიკოვი? „ის მუდამ წასრულს აქებდა.. მხოლოდ ცირკულიარების და საზოგადოდ ისეთი სავაზეთო წერილების გაკება შეუძლო, სადაც რაიმე აგრძალებოდა.. მას ჯადოსნური ფრაზით „როგორმე არაფერა გამოვაიქს“ მუხრუჭში ეკირა არა თუ მარტო მასწავლებელი, არამედ მთელი ქალაქი“.. ავიღოთ პროფესორი სერგებიაკოვი (ბიძია ვანია) „რომელიც სწერს მეცნიერულ ტრაქტატებს იმაზედ, რაც მას არ გაეგება... ყველა მონობაში უქერი“.

ასეთი არიან განმანათლებლენი, ასეთია შკოლა.

ა. სპეკალი.

ცოტა რამ ჰიპნოტიზმზე:

ეველას მოეხსენება, რომ ჰიპნოტიზმს დიდი ადგილი უჭირავს თანამედროვე მედიცინაში. იმ გვარ ავადმყოფობას, რომელსაც წამლი ვერა შეუძლოა, ახდა ჰიპნოტიზმი უღებს ბოლოს. აი მაკალითად, ისეთ სომხელ სენს კანკარბობისას, როგორცაა ალკოვოლიზმა, ბოლო ეღებს ჰიპნოტიზმის წყალობით. ჰიპნოტიზმს, სანკურნალო მიზნის გარდა, ხმარობენ აგრეთვე აღსზრდელ იარაღთაც. ამიტომ ჰიპნოტიზმს, როგორც მედიცინაში, აგრეთვე ჰედაგოგიაშიც დიდი მნიშვნელობა ეძლევა, როგორც ერთგვარ ჰედაგოგიურ ზომას ამ გვარ დიდ ზრატეკულ მნიშვნელობასთან ერთად, მის აქვს თავისი ასტორიული წასრული, რომელიც გვიჩვენებს მის განვითარებას უძველეს დროიდან თანამედროვე მის მდგომარეობამდე.

რას ნიშნავს ჰინობი და ჰინობიტიზმი? მეტყობინებ ამ გვარად სხიან ჰინობიტიზმს: ჰინობიტიზმი არის ერთგვარი ბუნებრივი ძალა, (როგორც ელექტრონული ან მაგნეტიკური, რის ბუნება ჯერ ვიდრე არ არის გამოვლენილი) რომელიც მოქმედობს ჩვენი სისხრით, თუ განაზღვრავს (ტვინზე) და სხდენს ცვლილებას ჩვენი სულიერ მდგომარეობაში; მისი გარეგანი სახე წარმოადგენს ჩვე უფლებრივ ძილის მსგავს მოვლენას. ან სწორედ ამ მიხედვით უნდა დავიხსენოთ ვინაა ჰინობიტიზმი. ჰინობიტიზმი არის ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპულ შთაბეჭდილებას (Внушение), რომელსაც კვლავ წოდებულ ჰინობიტიზმში, აგრეთვე ნორმალურ მდგომარეობაშიც. ჰინობიტიზმი ემორჩილება ევოლუციას, როგორც მამაკაცი, აგრეთვე დედაც; აქ, რასაკვირველია, განსვდ არა აქვს დიდი მნიშვნელობა. ზრთუ. ფორული ამბობს, რომ შეიძლება უფლებრივ ფსიხიურად სვდი ჯანმრთელი ჰინობიტიზმი დაძინება. მისი დიდი ხელს უშლის ჰინობიტიზმს ხან დახან დროებითი ჯანმრთელი გუნება. როდესაც ჯანმრთელი ისეთ გუნებაზე არ არის, რომელიც სსჭირთა ჰინობიტიზმისთვის, მის დაძინება ძნელია ჰინობიტიზმი დაძინება დამოკიდებულია აგრეთვე შექნობილ სისხრეზე. ჰინობიტიზმი დაძინებული ჯანმრთელი დაძინება თქვენს ხელთაა და რასაც ჩაატონებთ, ამას მამრთვე სისრულეში მოიყვანს. ან მკ. შეიძლება ჩაატონებთ სუბიექტს, ე. ი. იმ ზირს, რომელსაც ჰინობიტიზმი აძინებთ, რომ მან მეტყველობის ნიჭი დაკარგოს; ის მამრთვე ასრულებს თქვენ ბრძანებას და უფლებრივ თქვენ კითხვებზე ზსუსხ ვედარ გიგებთ. სსჭირთის სუბიექტს ჩაატონებთ, რომ მას შეუძლიან იღამარკაოს, ის მამრთვე იწვევს დაზარკას. ეს სეზონური მოყვანილი მკაღლითა შექნება გიგებრივ მხარეს ჯანმრთელი სისხს. ახლა მოვიყვანოთ იმ გვარი მკ., რომელიც შეეხება მკრძინობელს: ჰინობიტიზმს დროს, სუბიექტს რომ შეუძლიან ცხვირთან ცარული ბოთლი და ჩაატონებთ, რომ იგი შეიცავს მშენებრივ სუნელთა ნივთიერებას, სუბიექტი მამრთვე დაეწყება ბოთლს და დიდის სისხრით დაეწყებას ეხსნას. აგრეთვე შეგიძლიანთ გამოწვიოთ სუბიექტში სხვა-და-სხვა რეფლექსები, მკ., თქვენა ბრძანებით სუბიექტი აცემინებს ცხვირს რამდენჯერაც გნებავთ. ჰინობიტიზმს ძალითვე შესაძლებელია სუბიექტში გამოწვიოთ: შიში, სისხრული, რისხვა, სიყვარული ვისდამი და სხვა.

რაც შეეხება სუბიექტის ნებას ჰინობიტიზმი ძილის დროს, ამაზე უნდა ვისტკავთ, რომ ამ დროს თეორიტიკოსები სხვა და სხვა აზრისა არიან ზოგი ამტკიცებს, რომ ჯანმრთელი ნება ამ დროს დასუსტებულია და თათქმის არც კი არსებობს. ამ გვარ აზრის მოწინააღმდეგეები კი, რომელთა რიცხვს ეკუთვნის თვით ზრთუ. ფორული, ამბობენ, რომ ჩვენ, რასაკვირველია, ვმოქმედებთ ამა თუ იმ სუბიექტის გადაწყვეტზე, მაგრამ რაც შეეხება მის მთლიან დასუსტებას—ეს არ ნება.

ჰინობიტიზმი მოვლენები ჯერ კიდევ უფლებრივ დროში იყო ცნობილი. ინდოეთის ბრძინებს და ძველ ეგვიპ-

ტის ქურუშებს კარგათ ჰქონდათ შესწავლილი ამ გვარი მოვლენები და ამას უწოდებდნენ, სსზოგადოდ, „მკაოს“. ამას ჩვენი ვეიმტიკიტიკები ძველი ნსშობის გამოკვლევას სხვა და სხვა მეტყობინება შიერ. ან მკ. ეგვიპტეში სერაზის ტაძარში ჰქურნავდნენ სხვა და სხვა ნერვების ავადმყოფებს ამ ჰინობიტიზმი მოვლენების საშუალებით. აგრეთვე ძველ სსბერძენეთში და რომში ცნობილი იყო ეს მოვლენები, მაგრამ როგორც სხვა ბუნებრივი მოვლენები, ისე ეს მოვლენები მეტყობინებულათ არ ჰქონდათ გამოკვლევული და ამიტომ მათ ბუნდობლად სწამდათ, მსში სედავდენ რაღაც დოკაბრივ, სიადუმლო ძალას. საშუალო საუკუნების ისტორია მშენებრივთა გვანტანს იმ სსცოდვე კუდიან დედაკაცებს, რომელნიც თავიანთ მოვლენებით ცვტვლში ცვოადენ, რადგან სსზოგადობას სოვლიდა მით ავ სულეობთ. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ესენი იყვნენ მსხვერპლნი სხვა და სხვა ჰალიციტიზმის ჰინობიტიზმს სედავდენით.

მე-18 საუკ. მეორე ნახევარში თავი იჩინა ამ გვარი მოვლენების გამოკვლევით გერმანელმა ექიმმა მესმერმა, რომელსაც უწოდეს ამ გვარ მოვლენებს „ზირად მკნეტიზმი“. მესმერმა თეორეტიკული გამოკვლევის კარდა დიწყო ამ ძილის ზრტიკიული გამოყენება. იგი ჰინობიტიზმის საშუალებით არჩნდა სხვა და სხვა ავადმყოფებს. შემდეგ მის თანამოაზრებმა უწოდეს მის თეორიას „მესმერიზმი“, რაიცა ნიშნავდა „ზირად მკნეტიზმს“.

ესე და ამ გვარად იცვლებოდა ჰინობიტიზმის აზრს, სანამ არ მადღწია თავის მეტყობინებულ ფორმას; ამ გვარი სსხე კი მიიღო მის მხოლოდ 1843 წელს; როდესაც გამოჩენილმა ინდოელიმა ქირურგმა დეემს ბრუელმა ხანგრძლივი და ბუკითი გამოკვლევების შემდეგ გამოაქვეყნა ეს მოვლენის და უწოდეს მის წარმამშობელ ძალს ჰინობიტიზმი. ბრუელმა შეიციტრისი მკნეტიზმის დაფიტიტიკის სეანსების დროს შენიშნა, რომ ამ მოვლენებში არავითარი დოკაბრივი ძალა არ იხტიტობდა, არამედ ეს იყო სხვა და სხვა „ნერვების ცვტიკების“ დადლა, რომელიც გამოწვეული იყო გამოკვლევით ცვტიკისაგან. ბრუელის შემდეგ შესანიშნავი გამოკვლევა და ზრტიკიტიკისი ჰინობიტიზმისა იყოლიებო, რომელიც სცდილობდა აესხნა ჰინობიტიზმის მსიხოფიტიკიტიკური შექნისში. 12 წლის შემდეგ ზრთუ. შარკამ შეიციტრის სსკითხი ამ სსგანზე მეტყობინების ავადმამში 1878 წელს. აქედან იწვევა ახალი ხანა ჰინობიტიზმის ისტორიაში. ამ დროს აბადება ორი სკოლა სსვეტიკიტიკის და ნანსიის, რომელნიც განსხვავდებოან ერთმანეთისგან სხვა და სხვა კითხვებში ჰინობიტიზმის შესახებ. ზირველი სკოლის წარმამდეგუნელი არიან: შარკო, ბიე, რაშე და სხვ. ხოლო მეორის—ლიებო, ფორული ბერტიკიტიკი და სხვ. რომ აღარ გავტრძელი წერული ჰინობიტიზმის ისტორიაზე მე ამ ხათქამით დავკამყოფილებო. ვისაც სურს დაწვრილებით გაეცხოს ჰინობიტიზმის ისტორიას, გურჩევ სხვათა შორის ბატიკრის წიგნს („Гипнотизм и родственны явления въ наукъ и жизни“, В. В. Витнера)

ფრად სუენადლება ზროფესორ დოქტორის და ზონის შეხედულება საზოგადოთ ჭინოტისში. ზროფ. დაზონი ორის თვალსაზრისით უდკერის ჭინოტისში; ის ამბობს რომ სოციალურის მხრე ჭინოტისში წარმადგენს სურთოსუდ საფრთხეს, რადგან ის ამრადლებს სკრანტებს, რომლითაც სარკებდობენ სხვა და სხვა მასე ზონის საზოგადოების, და იმსახურებენ მათ თავის კერძო ინტერესებისთვის. ამ გვარი აფერისტები ბოროტ შაქმად ბენ ჭინოტისმის საშვადებით და სსადან უოკლავკარ სსადკლეს. სოციალურის მხრე ჭინოტისში სსარკებდობა იმდენით რამდენადაც ის იხმარებს მედიანისა და აგრეთვე იმ შემთხვევაში, რადესაც ჭინოტისში კისსურება მართლ-მსაჯულებას. უკანასკნელ შემთხვევაში ის ამოსადება იმ დროს, რადესაც იმ გვარ ცნობებს, რომლის გვებზეც სხვა და სხვა მასე ჭინოტისში ვამო უოკლავად შეუდგებულა სწამლურ მდგომარეობაში, იგებენ ჭინოტისურ მდგომარეობაში. ინდივიდალურას მხრე კი დიდათ მხენებულა ჭინოტისში, რადგან ის დამისს სსუსტებს, რადესაც ფიზიკურათ, აგრეთვე სხეობა ვადა; დსანიშნავია ის, რომ ამ უკანასკნელ შეხედულებას დაზონისს არ ეთ.სსმებიან საგაერთა ზროფესორება.

გ. სულიკი

სმოლის ქრონიკა.

არცულობა არსეთის სემინარიებში უფრო მეტათ გაძლიერდა. საერთო გაფიცვას, მომხდარს დეკემბრის პირველ რიცხვებამდე; გამოცხმაურა, მოსკოვის, იაროსლავის, ტვერის, ვლადიმირის, სმოლენსკის და სხვა სემინარიები. სმოლენსკისაში არეულობამ აჯანყების ხასიათი მიიღო, ტვერში კი „მოგილიოვის“ მსხვერპლს ახალი მსხვერპლიც მიემატა. მოიწამლა თავი 14 წლის მოწაფემ მთავრობისგან სასტიკ ზომების მიღების გამო, რამაც გაფიცულ მოწაფებზე ცუდი გავლენა იქონია და ამ მიზეზით გაფიცვამ მწვავე ხასიათი მიიღო.

ალექსანდრე ნევის ლავრაში საეკლესიო პრიხოდის სკოლიდან დათხოვნილ იქმნა 16 მოწაფე—ბავშვები (8—12 წ. წ.) რომლებიც იმყოფებოდნენ იქვე პანსიონში. მიზეზათ ამისა ყოფილა ის გარემოება, რომ მათ (ბავშვებს) დასძინებიათ დილით და ჩაის დასალევათ გამოცხადება დაჰგვიანებიათ. გამგემ მათ ჩაი არ დაალევინა, რა მიზეზითაც მათ უკმაყოფილება გამოუცხადეს უფროსს. უფროსსმა სუყველა დათხოვა სკოლიდან. ბავშვები გამოვიდნენ ქუჩაში და გამველ-გამომავლელს მოწყალეობას შესთხოვდნენ, ვინაიდან არც ერთ მათგანს ახლოს ნათესავეები არ გააჩნდათ.

უწყსოება მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, მიუხე-

დავად პროფესორების დადგენილებისა მიტროპოლიტმა ვლადიმირმა დანიშნა ლექტორათ ბიბლიის ისტორიაში პრივატ—დოკ. ვედენსკი. შევიდა თუ არა ლექტორი და რექტორი აუდიტორიაში, რომელიც სავსე იყო სტუდენტებით, მაშინვე ასტყდა აუზაური და ყვირილი. მაშინ კათედრაზე ავიდა რექტორი და განაცხადა, რომ თუ სტუდენტები არ დაწყნარდებიან, ის აკადემიიდან ყველას გარეკავს, გარდა პირველ კურსის სტუდენტებისა, რომელთათვისაც იკითხება ლექცია. ხმაურობა თან და თან შესწყდა. ვედენსკი შეუდგა ლექციის კითხვას: მან კრიტიკის ქარ—ცეცხლში გაატარა დელიგი და მისი თხუზულბანი. აუდიტორიაში ხმაურობა ხელმეორედ ასტყდა რის გამოც ლექტორს აღარ ჰქონდა საშუალება განევრო ლექცია და რექტორთან ერთად მიატოვა აუდიტორია. ამ რომდენიმე ხნის წინად ამავე აკადემიაში ლექტორად იყო დანიშნული გომილეთიკის კათედრაზე ბერ-მონაზონი სერაფიმი, მის წინააღმდეგ იყო გამოცხადებული პასიური ბოიკოტი. არც ერთი სტუდენტი ლექციას არ ესწრებოდა.

რუსეთის სემინარიების გაფიცვა, როგორც ვიცით, გამოწვეულ იყო შვარცის პოლიტიკით. გაფიცვამ შვარცს ოდნავათაც არ შეაცვლევინა ფრონტი. ცეცხლზე ნათი დასას. ხელ—ახალი ცირკულიარი გამოაცხო, რომოთაც სემინარიებს ეთხოვებათ უნივერსიტეში შესვლის დროს დამატებითი ეგზამენები **ორავე ახალ ენებში** (ფრ. და გერ.) და ლათინურში, ფიზიკაში და მათემატიკურ საგნებში.

განცხადება.

რედაქციასავან. უმოჩილესად ეთხოვთ პროვინციელ მოწაფეებს ჟურნალის კეთილდღეობისათვის ყველგან და არსონ აგენტურა და ხელი შეუწყონ მას გავრცელებას: მოვაწოდონ ცნობები თუ ვის, სად და ჟურნალის რამდენი ეგზემპლიარი გაუგზავნოთ.

აგრეთვე მოგვაწოდონ წერილები რომელიც დაკავშირებულ იქნება სკოლის საკითხთან; განსაკუთრებრივ კორესპონდენციები სკოლის ცხოვრებიდან.

ფული და წერილები გამოგზავნება ამ ადრესით: Тифлисъ, Кирочная ул. № 9. книжный магазинъ „Аліони“ Василю Гадилія для Аль-манаха.

რედაქტორ-გამომცემელი: სოფარო სამსონასა.

5984g
1910